შემაჯამებელი სამუშაო

კლასი: **XI**

თემა: 1.აკაკი წერეთელი – შემოქმედება; გრამატიკა

გაიხსენეთ პოემა ,,გამზრდელი" და უპასუხეთ კითხვებს.

1) ვის მიუძღვნა აკაკიმ პოემა ,,გამზრდელი?"

ა) თავის შვილს – ალექსის ბ) თავის მეუღლეს გ) პედაგოგებს

2) ბათუს სახლისკენ მიმავალ მგზავრს როგორი თვალ–გული უნდა ჰქონოდა?

3) ერთადერთი სანატრელი რა ჰქონდა ბათუს, როგორ აუსრულდა ეს ნატვრა?

4) სადაურია ჰაჯი–უსუბი?

5) ვინ არის საფარ–ბეგის სატრფო და რასთან არის შედარებული?

6) საფარ–ბეგის უკადრისი საქციელით თავზარდაცემულმა ბათუმ სტუმართან არ გამოხატათავისი სულიერი მდგომარეობა. ბათუს ხასიათის რა თვისება ჩანს ამ ეპიზოდში?

ა) თავშეკავებულობა ბ) ლაჩრობა გ) უნიათობა დ) წინდახედულობა

LIVEWORKSHEETS

7) გამოტოვებულ ადგილას ჩასვით შესაბამისი სიტყვები ლექსიდან ,,აღმართ–აღმართ”:

მე კაცად ფეხქვეშ სატრფო

სადარი ნისლი

ცხოვრებავ

,,ცის მახლობლად 1 ---------- ვიგრძენ მიწა 2 ---------

ვსთქვი 3---------- მეც ერთ 4 ---------- მიწამე!

და ვიფიქრე ,,ჩემი 5 ---------- სად არი?

6 ---------- ჰბურავს, თუ დღე უდგას 7 ---------- ?”

8) იმსჯელეთ, როგორ მდგომარეობაშია პოეტის სატრფო. რა დამოკიდებულებას ამჟღავნებს პოეტი მის მიმართ და რატომ არ უსმენს სატრფო მას?

LIVEWORKSHEETS